19/03/2024

MES 6 24 0000323520

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 5 მარტს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია -ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი.
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- მანანა მოისწრაფიშვილი;
- ვერიკო ჭიღლაძე;
- ცოტნე ქორჩილავა;
- ქეთევან ბოტკოველი;
- ქეთევან ჯანელიძე

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი "ფაზისი"
დირექტორი - ნინო ბაკურაძე;
ხარისხის მართვის მენეჯერი - ეკატერინე ფოჩხუა.

შპს თეგეტა აკადემია
დირექტორი - ოთარი სიხარულიძე;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი - ნინო ერისთავი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.
ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. სსიპ - კოლეჯ ფაზისში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგიები" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ფოთი);
2. სსიპ - კოლეჯ ფაზისის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი);

3. შპს თეგეტა აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მისი განცხადებით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის სხდომაზე დღის წესრიგის მეორე საკითხად განხილულ იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვის დასასრულს, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით 2.4 კომპონენტში ქ. ქუთაისის მისამართზე „ღონისძიების ორგანიზების“ პროგრამის ფარგლებში, ასევე, ორივე მისამართზე (ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის მისამართებთან მიმართებით) 3.1 და 4.1 კომპონენტების ნაწილში. მონიტორინგის თარიღად საბჭომ განსაზღვრა 2023 წლის 07 დეკემბერი, მონიტორინგის ფორმად - დაწესებულებიდან დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოს ინფორმირება. 2023 წლის 08 იანვარს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ცენტრიდან გაეგზავნა წერილი (ცენტრში რეგისტრაციის N1675795 - 08.12.23) 2.4 კომპონენტის (ქ. ქუთაისის მისამართზე), ასევე 3.1 და 4.1 კომპონენტების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გატარებული ღონისძიებების განხორციელების ანგარიშის წარმოდგენასთან დაკავშირებით, შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად. აღნიშნული წერილის პასუხად, 2023 წლის 27 იანვარს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ცენტრში წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.4 კომპონენტის, მე-3 სტანდარტის 3.1 და მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გატარებული ღონისძიებების განხორციელების ანგარიში შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად. აღნიშნული დოკუმენტების გადამოწმების შედეგად არ გამოვლენილა ექსპერტთა ჯგუფის შექმნის საჭიროება. სამსახური საბჭოს წარუდგენს ინფორმაციას სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ‘ღონისძიების ორგანიზების“ პროგრამის ფარგლებში მე-2 სტანდარტის 2.4 კომპონენტის, ასევე , მე-3 სტანდარტის 3.1 და მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით და სთხოვს საბჭოს, მიიღოს ინფორმაცია ცნობად.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა ზემოაღნიშნული ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

პირველი საკითხი: სსიპ - კოლეჯ ფაზისში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგიები" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ფოთი).
მეორე საკითხი: სსიპ - კოლეჯ ფაზისის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფების თავმჯდომარე, მანანა მოისწრაფიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ორივე ლოკაციაზე (ქ. ფოთი და ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი) განხორციელებული ვიზიტების საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, ა.წ. 24 იანვარს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა მონიტორინგის ვიზიტი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, სსიპ კოლეჯ ფაზისში (კონსტიტუციის ქ. N54) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის - "ინფორმაციის ტექნოლოგიები", დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ.დ) ქვეპუნქტის და ასევე, ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ბ) კომპონენტის; დ) ქვეპუნქტის დ.ა); დ.ბ) და ე) ქვეპუნქტის ე.ა) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით და ა.წ. 25 იანვარს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა მონიტორინგის ვიზიტი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, სსიპ კოლეჯ ფაზისში, ხობის ფილიალში (სოფ. ნოჯიხევი) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ბ) კომპონენტის; დ) ქვეპუნქტის დ.ა); დ.ბ) და ე) ქვეპუნქტის ე.ა) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტამდე ორივე ლოკაციისთვის შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეიკრიბნენ zoom-ის საშუალებით, განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად წამოჭრილი საკითხები, შეიმუშავეს ვიზიტების დღის განრიგი.

2024 წლის 24 იანვარს ქ. ფოთში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა და დარგის ექსპერტმა განახორციელეს სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ინსტიტუციური სტანდარტებისა და საგანმანათლებლო პროგრამის - "ინფორმაციის ტექნოლოგიები" შეფასება დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის დაცვით. ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან,

დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადახედილი იქნა კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები, ხოლო, 2024 წლის 25 იანვარს ხობში, სოფ. ნოჯიხევში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ინსტიტუციური სტანდარტების შეფასება დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის დაცვით. ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადახედილ იქნა კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები. ექსპერტებმა შეისწავლეს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება და დაადგინეს, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების არცერთ ლოკაციაზე ხარვეზი არ გამოვლენილა. თუმცა წინა ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი იქნა შემდეგი შესაბამისობის რეკომენდაციები, რომელთა მდგომარეობა დღეისათვის ამგვარია:

1.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია, სტრატეგიულ გეგმაში არ არის მოცემული შესრულების ინდიკატორები, რაც დაწესებულებამ წინასწარ უნდა განსაზღვროს და გაწეროს. აღნიშნულის შესასრულებლად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით 6 თვის განმავლობაში განხორციელდება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების გადახედვა - **შესრულებულია.**

1.2.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია, რადგან დაწესებულება არ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. აღნიშნულის შესასრულებლად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით 6 თვის განმავლობაში განხორციელდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი, ანგარიშების მომზადება და შეფასება, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით - **შესრულებულია.**

1.2.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია, რადგან დაწესებულება სათანადოდ არ რეაგირებს შეფასების შედეგებზე. აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით 6 თვის განმავლობაში განხორციელდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი, ანგარიშების მომზადება და შეფასება, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით - **შესრულებულია.**

4.1.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია, რადგან დაწესებულებას თანამშრომელთა პირად საქმეში არ აქვს სექსუალური ძალადობისა და შევიწროების შესახებ ცნობა წარმოდგენილი, რომლის აღმოსაფხვრელად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება კოლეჯის თანამშრომელთა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ" ცნობების წარმოდგენა - **შესრულებულია.**

4.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია, რადგან დაწესებულებაში არ ხორციელდება პერსონალის განვითარება პსდს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, რომლის აღმოსაფხვრელად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება კვლევების ჩატარება, ჩატარებული კვლევის შედეგების შეფასება, მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე პერსონალის განვითარების გეგმის გაწერა და ამ გეგმით პერსონალის განვითარება - **შესრულებულია.**

5.1.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია, რადგან კოლეჯს არ აქვს უზრუნველყოფილი დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა

ფართში უსაფრთხოების ზომების დაცვა, აღნიშნულის აღმოსაფხვრელად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება მეხამრიდებისა და სახანძრო სიგნალიზაციის - ხანძარქრობის სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა შპს "ნეოტეკის" მიერ, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება (CPV კოდი 71320000) მეხამრიდებისა და სახანძრო სიგნალიზაციის - ხანძარქრობის სისტემის მოწყობითი სამუშაოებისთვის - **არ არის სრულად შესრულებული.**

5.1.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია, რადგან დაწესებულებაში არ მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, რომლის აღმოსაფხვრელად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" ორივე ლოკაციისათვის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება - **შესრულებულია.**

წინა ვიზიტის დროს პროგრამული სტანდარტების ფარგლებში გამოვლენილი შესაბამისობის რეკომენდაცია - (ქ. ფოთის ლოკაცია)

2.4.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია, რადგან დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა (ვერიფიკაცია) არაა სრულყოფილად და ნათლად გაწერილი და მისი შემსრულებლის შერჩევისას ინტერესთა კონფლიქტი არ არის გამორიცხული. აღნიშნულის აღმოსაფხვრელად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება: შეფასების სისტემის (ვერიფიკაციის) გადახედვა, ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრა, ვერიფიკაციის პროცედურების, რისკებისა და ფორმების შემუშავება, ვერიფიკაციის წლიური გეგმის შემუშავება, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე პირთა განსაზღვრა ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის გათვალისწინებით - **შესრულებულია.**

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები ინსტიტუციური სტანდარტების ფარგლებში ორივე ლოკაციისთვის (ქ. ფოთის და ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი) შესრულებულია და ასევე, ინსტიტუციური სტანდარტის ნაწილში ორივე ლოკაციისთვის 4.2.1.1 - ში სასურველია დაწესებულებამ დახვეწოს და განავითაროს კვლევის კითხვარები და ისინი თითოეული შესაფასებელი პოზიციისთვის რელევანტური საჭიროებების გამოვლენას მოარგოს,რაც შესრულების პროცესშია.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება - (ქ. ფოთის და ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევის ლოკაციები).

5.1.2.1. დაწესებულებამ საჭიროა უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნის წარმოდგენა, რომლითაც დადასტურდება, რომ კოლეჯი შეძლებს უზრუნველყოს დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაიცვას უსაფრთხოების ზომები.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება - - (ქ. ფოთის და ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევის ლოკაციები).

4.1.1.2. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, პროცესების მეტად ეფექტურად შესრულებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებში გაიწეროს ვერიფიკაციის გეგმის შედგენის პასუხისმგებლობა, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობებში მკვეთრად დაკონკრეტდეს ვერიფიკაციის პროცესში შესასრულებელი მოვალეობები.

4.2.1.1 სასურველია დაწესებულებამ დახვეწოს და განავითაროს კვლევის კითხვარები და ისინი თითოეული შესაფასებელი პოზიციისთვის რელევანტური საჭიროებების გამოვლენას მოარგოს, რომელიც მიმდინარე ეტაპზე შესრულების პროცესშია;
4.2.1.2. პერსონალის შეფასებისა და კვლევის შედეგად გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით, პროფესიული მასწავლებლების განვითარების გეგმასთან ერთად, გაწეროს და განახორციელოს ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების გეგმა;
4.2.1.5. სასურველია დაწესებულებამ მეტად მკაფიოდ და ნათლად გაწეროს ინიციატივების დაფიქსირების პროცედურები.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები (ქ. ფოთის ლოკაცია)
ექსპერტის განცხადებით, სსიპ კოლეჯი "ფაზისი" უზრუნველყოფილია მინიმუმ ავტორიზაციის ვადით შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, რაც მნიშვნელოვანია სასწავლო და სამუშაო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის. ყველა სასწავლო და სამუშაო სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით, დაწესებულებამ წარმოადგინა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც შესწავლილი იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ფაქტობრივი არსებობა და მდგომარეობა, ასევე, ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ განხორციელდა ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში ქ. ფოთში, კონსტიტუციის ქ. N54-ში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, ასევე, კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ინტერვიუების ფარგლებში აღინიშნა, რომ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს სააუდიტორიო მეცადინეობებზე/პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესებზე დასწრებას და ამ პროცესებში გამოყენებული რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებას და მათ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას. კოლეჯის ქ. ფოთში შენობებში ქალებისა და მამაკაცებისთვის გამიჯნულია სანიტარული კვანძები.

წინა ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ კოლეჯმა 2023 წლის 01 მარტს მიმართა სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, რათა შეფასებულიყო კოლეჯის შენობებში საქმიანობის განხორციელებისა უსაფრთხოების საკითხი და მოეპოვებინათ დასკვნა. დასკვნის გაცემისთვის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ჰქონდა 30 დღიანი ვადა, შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს კოლეჯს არ ჰქონდა დასკვნა. ვიზუალური დათვალიერებით კოლეჯის სასწავლო კორპუსები კარგ მდგომარეობაშია, ბზარების გარეშე, სუფთა და მოწესრიგებული, თუმცა, ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შენობის მდგრადობის შესახებ კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება, ამასთან, დადგინდა, რომ 2021 წლის 21 ივნისს საგანგებო სიტუაციების მართვი სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის პრევენციისა და რეაგირების სამმართველოს ინსპექტორების მიერ შემოწმებული იქნა კოლეჯი და შექმნილი იქნა შესაბამისობის აქტი, სადაც შენობა-ნაგებობაზე სახანძრო უსაფრთხოებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულების ანალიზი და შეფასებაა, აღნიშნულის დაფინანსების მიზნით დაწესებულებამ მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს და მიიღო დაფინანსება, ნაწილი სამუშაოებისა კი შეასრულა საკუთარი სახსრებით. კოლეჯს 2023 წლის 28 თებერვალს გაფორმებული აქვს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 43 შპს „ნეოტექთან“, რომლის საგანია ,,მეხამრიდებისა

და სახანძრო სიგნალიზაციის - ხანძარქრობის სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება (CPV კოდი 71320000) სახელმწიფო შესყიდვა“, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი. კოლეჯის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვას, გამოყენების პროცესის მართვას, ფინანსურ მენეჯერთან კოორდინაციით, ახორციელებს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი/მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო პროგრამა - „ინფორმაციის ტექნოლოგია“ (ქ. ფოთის ლოკაცია)

ექსპერტთა დასკვნით, სასწავლო პროცესი, დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე, მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს. პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგია“ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამას აქვს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება გათვალისწინებულია კოლეჯის ბაზაზე არსებული C გარემოს გამოყენებით, თუმცა გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში სასწავლო ექსკურსიის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულება თანამშრომლობს შემდეგ კომპანიასთან: შპს „კომპლექს 99“ -თან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც მოცემულია ,,პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაში“. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი)

ექსპერტის განცხადებით, მატერიალური რესურსების მართვა/შეფასება კოლეჯში რეგულარულად ხორციელდება სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ ,,მატერიალური რესურსების გამოყენების წესის“ შესაბამისად. დაწესებულებამ წარმოადგინა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც შესწავლილი იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ფაქტობრივი არსებობა და მდგომარეობა, ასევე, ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ განხორციელდა ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. კოლეჯის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია მათთვის. კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოჯიხევში განთავსებულ კოლეჯის შენობებში ცენტრალური გათბობის სისტემების ვიზუალური დათვალიერება და დგინდება, რომ კოლეჯში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემები. კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. კოლეჯის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვას, გამოყენების პროცესის მართვას, ფინანსურ მენეჯერთან კოორდინაციით, ახორციელებს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის

კოორდინატორი/მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორი. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები რეგულირდება „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით“, რომლის საფუძველზეც რეგულარულად ხორციელდება კოლეჯის რესურსების შეფასება. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ კოლეჯის ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ კოლეჯის ხობის მუნიციპალიტეტში სოფ. ნოჯიხევში ცალკე მდგარ შენობებში მოწყობილია ქალებისა და მამაკაცებისთვის გამიჯნული სანიტარული კვანძები, კოლეჯის ყველა აუდიტორიაში ხობის მუნიციპალიტეტში სოფ. ნოჯიხევში კომპიუტერულ კლასებში, პრაქტიკულ ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეებში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება, კოლეჯის ხობის მუნიციპალიტეტში სოფ. ნოჯიხევში განთავსებულ შენობაში გამოყოფილია განცალკევებული სამუშაო ოთახები ადმინისტრაციული პერსონალისთვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. კოლეჯს წარმოდგენილი აქვთ სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ შენობის მდგრადობის შესახებ დადებითი ექსპერტიზის დასკვნა.

ექსპერტის განცხადებით, დადგინდა, რომ 2021 წლის 21 ივნისს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის პრევენციისა და რეაგირების სამმართველოს ინსპექტორების მიერ შემოწმებული იქნა კოლეჯი და შექმნილი იქნა შესაბამისობის აქტი, სადაც შენობა-ნაგებობაზე სახანძრო უსაფრთხოებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულების ანალიზი და შეფასებაა. აღნიშნულის დაფინანსების მიზნით დაწესებულებამ მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს და მიიღო დაფინანსება. კოლეჯს 2023 წლის 28 თებერვალს გაფორმებული აქვს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 43 შპს „ნეოტექთან“, რომლის საგანია ,,მეხამრიდებისა და სახანძრო სიგნალიზაციის - ხანძარქრობის სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება (CPV კოდი 71320000) სახელმწიფო შესყიდვა“. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში სრულადაა შესრულებული ყველა სამუშაო. აღსანიშნავია, რომ შპს ,,ნეოტექმა“ ჩატარებული სამუშაოების შესახებ დასკვნის მოსაპოვებლად მიმართა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს, რომლებმაც შეამოწმეს მათ მიერ შესრულებული სამუშაოები და გასცეს გამოცდის დამადასტურებელი აქტი სსიპ კოლეჯი ,,ფაზისი''-ს შენობებში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების ,,დ“ ქვეპუნქტი-სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა, ,,გ'' ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემა და ,,ე'' შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემის გამართულობის შესახებ 2023 წლის 25 დეკემბერს. 2023 წლის 29 დეკემბერს სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ დირექტორმა ხელახლა მიმართა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, რათა გადაემოწმებინათ კოლეჯის სახანძრო უსაფრთხოების გამართულობის საკითხი და მოეპოვებინათ შესაბამისი დასკვნა, თუმცა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნის მოპოვება და წარდგენა ავტორიზაციის ექსპერტთათვის დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო, შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით დაწესებულების მიერ მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცული არ იყო უსაფრთხოების ზომები და ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ. დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა თანდართული დოკუმენტებით, რომელშიც გაწერილია 6 თვის ვადაში კოლეჯის მიერ შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისთვის გასაწევი აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირი, დაფინანსების მოცულობა და წყარო, სხვა საჭირო რესურსები, რისკები, შესრულების ინდიკატორები და სხვ. შესაბამისობის გეგმისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ

შესაბამისობის გეგმა შემუშავებულია რელევანტურად და აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.2.1. მეტწილ შესაბამისობაშია და დაწესებულებამ საჭიროა უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნის წარმოდგენა, რომლითაც დადასტურდება, რომ კოლეჯი შეძლებს უზრუნველყოს დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაიცვას უსაფრთხოების ზომები.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, სთხოვა ექსპერტს, დაეკონკრეტებინა რა სახის კვლევებს გულისხმობდა და რომელი კითხვარების ონლაინ, თუ მატერიალურ შევსებაზე იყო საუბარი.

ექსპერტის განმარტებით, ეს იყო კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარები, რომლებსაც დაწესებულება იყენებდა შეფასების პროცესშიც. აღსანიშნავია, რომ შეფასებასთან დაკავშირებით არსებობდა კონკრეტული კითხვარები, სადაც ზემდგომი პირი აფასებდა თავის დაქვემდებარებულს, თუმცა ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია არსებული ერთი ზოგადი ფორმის კითხვარის მეტად დაკონკრეტების შესახებ, რათა გამოკვეთილიყო ზუსტად რომელი პერსონალის წევრი ფასდებოდა. რაც შეეხება კითხვარების შევსების ფორმას, დაწესებულებას ჰქონდა ფიზიკურად შევსებული ნაწილიც, რომლის მტკიცებულებაც წარმოადგინეს, ასევე კითხვარების ნაწილი ივსებოდა სტუდენტთა მიერ ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.

საბჭოს თავმჯდომარემ დაზუსტების მიზნით დასვა კითხვა შეფასების ინსტრუმენტთან დაკავშირებით, იყო თუ არა პროექტის შეფასებაში მითითებული, ვინ იყო მისი შემსრულებელი და ეს მხოლოდ ერთ კონკრეტულ პროექტს ეხებოდა, თუ ყველა მოდულის შეფასების ნაწილში ასეთი რამ ფიქსირდებოდა, ვინაიდან დარგის ექსპერტის განმარტებით, ერთ-ერთი მოდულის ფარგლებში სტუდენტთა მიერ მომზადებული პროექტის შეფასების ნაწილში არ ჩანდა, ვისი შესრულებული იყო ის და ვიზიტის მიმდინარეობისას დარგის ექსპერტის მითითებით, განმახორციელებლის მიერ აღნიშნული უზუსტობა აღმოიფხვრა.

დარგის ექსპერტის განცხადებით, აღნიშნული ფაქტი მხოლოდ ერთი მოდულის პროექტის შეფასების ფარგლებში იყო დაფიქსირებული, სადაც ფაილზე განმახორციელებელს მითითებული ჰქონდა შემსრულებელი სტუდენტის სახელი და გვარი, თუმცა ამობეჭდილ ნამუშევარზე აღარ ხდებოდა იდენტიფიცირება, რაც ადგილზევე გასწორდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა განხილულ საკითხთან მიმართებით შეკითხვები. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან მიმართებით არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, საბჭოს წევრებს კოლეგიალური თანამშრომლობისთვის და აღნიშნა, რომ მათ დაწყებული ჰქონდათ სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პროცესები საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან. დაწესებულებამ მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, რათა შეემოწმებინა და დაეთვალიერებინა წინათ არსებული შეუსაბამობები, რომლებიც შპს „ნეოტეკის“ მიერ იქნა გამოსწორებული და ამის შემდეგ შპს „ნეოტეკს“ უნდა შეეთანხმებინა ეს ყველაფერი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რათა მიეღოთ დადებითი დასკვნა. დაწესებულებას განაცხადი უკვე შევსებული აქვს, რაც წარმოდგენილ იქნა შესაბამისობის გეგმასთან ერთად, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან თანხაც შეთანხმებულია და კოლეჯი მათი მხრიდან ელოდება მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმებას

და ვიზიტის განხორციელებას. რაც შეეხება ექსპერტთა მიერ გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციებს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განხილული დარგის პროფესიული მასწავლებელი მართლაც კომპეტენტური და მაღალკვალიფიციური იყო. მისი თქმით, კითხვარების ნაწილი ნამდვილად ელექტრონულად ივსებოდა, ხოლო ნაწილი ჯერჯერობით მატერიალურად, თუმცა კოლეჯი აპირებს სრულყოფილად ელექტრონულ ფორმატზე გადასვლას. დაწესებულება ყველა გაცემულ რეკომენდაციას ეთანხმება და უზრუნველყოფს მის შესრულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას კითხვით, ჰქონდათ თუ არა განსაზღვრული პროგრამები, რომლებსაც წარმოადგენდნენ გაზაფხულის მიღებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ განსაზღვრული ჰქონდათ პროგრამების ჩამონათვალი, სადაც კვოტა აძლევდათ მიღების გამოცხადების საშუალებას და ეს სავარაუდო ჩამონათვალი სამინისტროსთანაც იყო გადაგზავნილი, თუმცა კოლეჯი სტუდენტთა მიღებას შემოდგომაზე გეგმავს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - კოლეჯ ფაზისში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგიები" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ ფაზისში (ს/კ:215101716) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგიები" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით, (ქ. ფოთი). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 5 მარტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ კოლეჯ ფაზისის (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი) მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ ფაზისში (ს/კ:215101716) ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით, (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 5 მარტი.

საბჭომ ცენტრს შუამდგომლობით მიმართა მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით. ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - კოლეჯ ფაზისის, ქ. ფოთის და ხობის მუნიციპალიტეტის სოფელი ნოჯიხევის ლოკაციებზე 5.1 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 15 აგვისტო.

საბჭოს წევრმა ვალერი გულბანმა დატოვა საბჭოს სხდომა.

მესამე საკითხი: შპს თეგეტა აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ბოტკოველი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ბ) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტებისა და ე) ქვეპუნქტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით 2024 წლის 8,9 თებერვალს განეხორციელებინა საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე ჩანიშნული მონიტორინგის ვიზიტი შპს თეგეტა აკადემიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №129). ვიზიტი, ბრძანების თანახმად, განხორციელდა 2024 წლის 08-09 თებერვალს. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. შესწავლილი დოკუმენტების და ადგილზე ჩატარებული მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯმა სრულად გამოასწორა არსებული ხარვეზები. შესაბამისად ყველა შესაფასებელი კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისი.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, თეგეტა აკადემია განთავსებულია თეგეტა აკადემიის შენობის მესამე სართულზე. თეგეტა აკადემიას საგანმანათლებლო საქმიანობისათვის გამოყოფილი აქვს შემდეგი სივრცეები: 1 - A გარმო (40 კვ.მ. 15 პროფ. სტუდენტზე) 1 A-C გარემო (51.2 კვ.მ.15 პროფ. სტუდენტზე)), 1- B გარემო 26.6 კვ.მ., ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციული სივრცე, დირექტორის კაბინეტი. ასევე, პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილია სამზარეულო და 2 სველ წერტილი. შენობის 0 სართულზე, ასევე, განთავსებულია C გარემო (148 კვ.მ.). A და AC გარემო აღჭურვილია პროფესიული სტუდენტებისათვის სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, დაფებით, პროექტორებით, მასწავლებლის მაგიდებით და სკამებით. AC გარემო აღჭურვილია, ასევე, დარგის შესაბამისი ტექნიკური რესურსით, თვალსაჩინოებებით, სიმულაციური დანადგარებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის განკუთვნილი მატერიალური რესურსით, ინტერნეტ მონიტორით prestigio multiboard 70". B გარემო, რომელშიც განთავსებულია 15 +1 ლეპტოპი (პროფ. სტუდენტებისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის) და დამონტაჟებულია პროექტორი განკუთვნილია, ასევე, 15 პროფესიული სტუდენტისათვის. მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტთათვის რეკრეაციული სივრცედ გამოყოფილია სასადილო ოთახი, ადმინისტრაციის ოთახში განთავსებულია 10 მაგიდა, 10 კომპიუტერი 1 შავ-თეთრი და 1 ფერადი ქსეროქსის აპარატი. მატერიალური რესურსების ფლობა დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითა და ფლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაციით. აკადემიის თანამშრომელს/პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს შეუძლია ადმინისტრაციის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა და სხვა სასწავლო რესურსები მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები. ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მოწყობილია 2 სანიტარული კვანძი. მათ შორის ერთი ადაპტირებულია შშმ პირისთვის. პროფესიული სტუდენტებისთვის, პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ფაქტობრივი მდგომარეობის ვიზუალური დათვალიერების შედეგებად და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები, წინა ვიზიტის ფარგლებში გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია აკადემიის ახალი თანამშრომლებისათვის მომხდარიყო სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება/ ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარება, რაც შესრულებულ იქნა, ამის მტკიცებულებად წარმოდგენილი იქნა ინსტრუქტაჟების ჩატარების ხელმოწერილი ჟურნალი. აკადემიაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია სამედიცინო ჩანთა, რომელიც აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელი საშუალებებით და მასალებით.

ექსპერტთა განცხადებით, აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მათ სრული მხარდაჭერა აქვთ შპს თეგეტა მოტორსის მიერ გამოყოფილი IT სპეციალისტების მიერ, რომლებმაც აკადემიას, განსაკუთრებული დახმარება გაუწიეს სტუდენტთა მიღების (გასაუბრებების) ეტაპზე, როდესაც სრული დატვირთვით მუშაობდნენ უხარვეზოდ წარმართვისთვის, ვინაიდან აპლიკანტთა ქულები პლატფორმაში ისახებოდა გასაუბრების დასრულებისას. აღნიშნული ამოცანა ეხმიანებოდა პერსონალის მონაცემთა დაცვას, რაც უხარვეზოდ მიმდინარეობდა. სასწავლო პროცესის მართვის სისტემა eFlow უზრუნველყოფს აკადემიის ადმინისტრაციული საქმიანობის პროცესების მხარდაჭერას, IT ტექნიკის რეგულარულ შემოწმებაზე და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები არიან შპს თეგეტა მოტორსის მიერ გამოყოფილი IT სპეციალისტები. ისინი რეგულარულად აფასებენ საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, აკადემიი აკონტროლებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას, მიმდინარე პროცესებს და ადგენს მათი გაუმჯობესების აუცილებლობას. პერიოდულად ახდენს მათ შეკეთება-განახლებას.

წინა ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ რიგი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქმისწარმოების წესი სრულად შეესაბამებოდა კანონმდებლობით მოთხოვნილ წესებს, საქმისწარმოების პროცესი არ მიმდინარეობდა წესის შესაბამისად. არ მიმდინარეობდა გამოცემული აქტების, კერძოდ, შემოსული განცხადებების, მოხსენებითი/სამსახურებრივი ბარათების, ანგარიშების (მაგ. პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციის), ასევე, ხელშეკრულებების აღრიცხვა. დაწესებულებამ აღნიშნული ხარვეზი გამოასწორა. წარმოდგენილი საქმისწარმოების ჟურნალების დათვალიერებით, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღრიცხვის ჟურნალები შეესაბამება საქმისწარმოების წესს და დოკუმენტების დამუშავება და აღრიცხვა მიმდინარეობს წესის შესაბამისად. აკადემია უზრუნველყოფილია საინფორმაციო ტექნოლოგიებით, რაც გულისხმობს კომპიუტერებით, პრინტერებით აღჭურვილ აუდიტორიებსა თუ ადმინისტრაციულ კაბინეტებს. ბუღალტერია სარგებლობს ORIS ელექტრონული პროგრამით, საქმისწარმოებისათვის, მატერიალური ფორმის დოკუმენტ ბრუნვასთან ერთად, გამოყენებულია ელექტრონულ სისტემა e-flow. სტუდენტებთან თუ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისთვის აკადემია იყენებს სოციალური ქსელებს, ელექტრონულ ფოსტას info@tegetaacademy.ge, საკუთარ ვებგვერდს https://tegetaacademy.edu.ge, სოციალურ ქსელს https://www.facebook.com/tegetaacademy/. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. წინა ვიზიტის ფარგლებში აკადემიის ვებ-გვერდზე განთავსებული იყო სულ 4 ნიუსი, რაზეც გაიცა რეკომენდაცია, რომ ვებ-გვერდზე ასახულიყო აკადემიაში მიმდინარე პროცესები. ამჟამად ვებ-გვერდზე ასახულია სიახლეები. ოფიციალური ვებ-გვერდი და სოციალური ქსელის გვერდები გონივრულ ვადაში ახლდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა განხილულ საკითხთან მიმართებით შეკითხვები. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან მიმართებით არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, საბჭოს წევრებს კოლეგიალური თანამშრომლობისთვის და აღნიშნა, რომ განხორციელებული მონიტორინგი

მათ დაწესებულებას სასიკეთოდ წაადგა, ვინაიდან პირველი მონიტორინგის დროს დაფიქსირდა უამრავი ხარვეზი, რომელთა გამოსწორებაც კოლეჯმა უზრუნველყო გრძელვადიანი პერსპექტივით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ზრუნავს თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე და მათ აგზავნის საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროფესიული მასწავლებლების კომპეტენციის ამაღლების მიზნით, მათ განახორციელეს ვიზიტი დუბაიში, ასევე, თურქეთსა და მაროკოში ესწრებოდნენ მნიშვნელოვან სემინარს თავიანთი სპეციფიკური დარგის მიმართულებით. კოლეჯს ასევე სამომავლოდ აქვს მომზადებული გეგმა პროფესიული მასწავლებლების განვითარებისათვის სხვადასხვა ტიპის კურსების გავლასთან დაკავშირებით, ვინაიდან ინტერნაციონალიზაციაზე ზრუნვა კოლეჯის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თეგეტა აკადემიაში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თეგეტა აკადემიაში (ს/კ:405237122) ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 5 მარტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:30 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ

ელექტრონული
მფლობელსაუღი
ელექტრონული